

გუიჭოუ ჰაივეი ენჯინიარინგ გრუფ კო
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	5
განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი, სააღრიცხვო პოლიტიკა ...	6
3. მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასებისთვის ძირითადი საკითხები ..	10

გუიჯოუ ჰაივეი ენჯინიარინგ გრუპ კო
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

**მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

	შენიშვნა	2020 წ.
შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან		0
გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის თვითღირებულება	4	(2,449,530)
საერთო მოგება:		(2,449,530)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(490,364)
ფინანსური და სხვა შემოსავალი	6	331,087
სულ საოპერაციო ხარჯი:		(159,277)
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		(2,608,807)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		(2,430,992)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე:		(5,039,799)
მოგების გადასახადის ხარჯი:		0
წმინდა მოგება/(ზარალი):		(5,039,799)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-
სულ წლის სრული შემოსავალი		(5,039,799)

დირექტორი



გუიჯოუ ჰაივეი ენჯინიარინგ გრუფ კო
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

	შენიშვნა	31.12.2020
აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	7	67,454,686
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		0
გადახდილი ავანსები	8	12,651,766
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		2,447,112
სხვა მიმდინარე აქტივები	9	946,189
სულ მოკლევადიანი აქტივები		83,499,753
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	10	19,726,118
არამატერიალური აქტივები	11	348,394
სულ გრძელვადიანი აქტივები		20,074,512
სულ აქტივები		103,574,265
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები		2,530,207
ანარიცხები		255,102
მიღებული ავანსები	12	105,828,755
სულ ვალდებულებები		108,614,064
კაპიტალი		
მფლობელთა კაპიტალი		-
დაგროვილი მოგება/(ზარალი)		(5,039,799)
სულ კაპიტალი		(5,039,799)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		103,574,265

დირექტორი



გუიჯოუ ჰაივეი ენჯინიარინგ გრუპ კო
 ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
2020 წლის 01 იანვარის მდგომარეობით	-	0	0
ნშინდა მოგება / (ზარალი)	-	(5,039,799)	(5,039,799)
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	(5,039,799)	(5,039,799)
გაცემული დივიდენდი	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(5,039,799)	(5,039,799)

(Handwritten signature)



გუიჯოუ ჰაივეი ენჯინიარინგ გრუპ კო
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება/(ზარალი):		(5,039,799)
საპროცენტო და კურსთაშორის სხვაობის ხარჯი / (შემოსავალი)		2,430,992
ცვლა და ამორტიზაცია	10,11	634,299
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		
სავაჭრო მოთხოვნების შემცირება (ზრდა)		(946,189)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება (ზრდა)		(15,098,878)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)		2,685,216
სხვა ვალდებულებები		105,828,757
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		90,494,398
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი და არამატერიალური აქტივის შეძენა	10	(20,708,811)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		-
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(20,708,811)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების აღება / (დაფარვა)		-
გაცემული დივიდენდი		-
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		-
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		69,785,587
წმინდა ზრდა/(შემცირება) წლის განმავლობაში		(2,330,901)
სავალუტო კურსის ეფექტი		
31 დეკემბრის მდგომარეობით	7	67,454,686

დირექტორი



გუიჭოუ ჰაივეი ენჯინიარინგ გრუფ კო
 ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2020 წ.
შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან		0
განეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის თვითღირებულება		(2,449,530)
საერთო მოგება:		(2,449,530)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(490,364)
ფინანსური და სხვა შემოსავალი		331,087
სულ საოპერაციო ხარჯი:		(159,277)
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		(2,608,807)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		(2,430,992)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე:		(5,039,799)
მოგების გადასახადის ხარჯი:		0
წმინდა მოგება/(ზარალი):		(5,039,799)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-
სულ წლის სრული შემოსავალი		(5,039,799)

დირექტორი

გუიჭოუ ჰაივეი ენჯინიარინგ გრუფ კო
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2020
აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები		67,454,686
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		0
გადახდილი ავანსები		12,651,766
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		2,447,112
სხვა მიმდინარე აქტივები		946,189
სულ მოკლევადიანი აქტივები		83,499,753
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები		19,726,118
არამატერიალური აქტივები		348,394
სულ გრძელვადიანი აქტივები		20,074,512
სულ აქტივები		103,574,265
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები		2,530,207
ანარიცხები		255,102
მიღებული ავანსები	5	105,828,755
სულ ვალდებულებები		108,614,064
კაპიტალი		
მფლობელთა კაპიტალი		-
დაგროვილი მოგება/(ზარალი)		(5,039,799)
სულ კაპიტალი		(5,039,799)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		103,574,265

დირექტორი

გუიჭოუ ჰაივეი ენჯინიარინგ გრუფ კო
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
2020 წლის 01 იანვარის მდგომარეობით		-	0	0
წმინდა მოგება / (ზარალი)		-	(5,039,799)	(5,039,799)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
წლის სრული შემოსავალი		-	(5,039,799)	(5,039,799)
გაცემული დივიდენდი		-	-	-
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		-	(5,039,799)	(5,039,799)

დირექტორი

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

გუიჯოუ ჰაივეი ენჯინიარინგ გრუპ კო უცხოური საწარმოს ფილიალი (შემდგომში - „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდით 405373750, დაფუძნდა 2020 წლის 17 იანვარს, მისამართი - ქ.თბილისი, ოდესის ქ. N8. კომპანიის დამფუძნებელია „Guizhou Highway Engineering Group Co Ltd და China National Technical Import&Export Corporation“ (ჩინეთი).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მშენებლობა. კომპანია აწარმოებს E-60 ავტომაგისტრალის შორაპანი-არგვეთას მონაკვეთის მშენებლობას. საპროექტო გზა შეადგენს 14.7 კილომეტრს და ძირითადად მოიცავს შემდეგ ლოკაციებს: ქვედა წევა, შორაპანი, ქვედა საქარა, არგვეთა, ზესტაფონი

კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საშუალოდ დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 40.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი, სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს მსს-ს) შესაბამისად (გადახედილი 2015 წელს),

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა - ქართული ლარი.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

სააღრიცხო პოლიტიკა

შემოსავლების და ხარჯების აღიარება

(ა) სამშენებლო კონტრაქტი

შემოსავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდით ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. ამონაგები რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც ფორმდება შუალედური გადაცემის სერთიფიკატები.

(ბ) საოპერაციო ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

ფული და ფულის ეკვივალენტი

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ლარში აქტიური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოდგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალების დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
საოფისე აღჭურვილობა	2-4
სატრანსპორტო საშუალებები	4-7
მძიმე ტექნიკა	6-10

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ლიცენზიებს და შეძენილ საბუღალტრო პროგრამის უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღ- იარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-ლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში _ პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თა- ნხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) გაცემული სესხები

გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

(ბ) მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს არის თუ არა ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით გაზომილი ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური სამხილი. იმ შემთხვევაში თუ არსებობს ამგვარი სამხილი, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. ეს უკანასკვლი განისაზღვრება აქტივის თავდაპირველი ეფექტური განაკვეთით დისკონტირებით.

(გ) სესხის ხარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ დანახარჯებში, როდესაც განეული იქნა.

3. მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასებისთვის ძირითადი საკითხები

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, უიმედო ვალების ანარიცხის განსაზღვრა, გაცემული სესხების ანარიცხების განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.